

მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალური ბიულეტენი

Official Bulletin for the Protection of New Varieties of Plants and Breeds of Animals



საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრი

საკპატენტი

SAKPATENTI

NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY
CENTER OF GEORGIA

გამოქვეყნების თარიღი

Date of Publication

2025 06 12

1(82)

ისმო-ს წევრი სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების აღმნიშვნელი

ორასოიანი კოდები (ისმოს სტანდარტი ST.3)

AD	ანდორა	GD	გრენადა	MY	მალიზია
AE	არაბთა გაერთიანებული საამიროები	GE	საქართველო	MZ	მოზამბიკი
AF	ავღანეთი	GG	გენზი	NA	ნამიბია
AG	ანტიგუა და ბარბუდა	GH	განა	NE	ნიგერი
AI	ანგილია	GI	გიბრალტარი	NG	ნიგერია
AL	ალბანეთი	GL	გრენლანდია	NI	ნიკარაგუა
AM	სომხეთი	GM	გამბია	NL	ნიდერლანდები
AN	ანტილის კუნძულები (ნიდერლანდები)	GN	გვინეა	NO	ნორვეგია
AO	ანგოლა	GQ	ეკვატორული გვინეა	NP	ნეპალი
AP	ინტელექტუალური საკუთრების აფრიკის რეგიონალური ორგანიზაცია (ARIPO)	GR	საბერძნეთი	NR	ნაურუ
AR	არგენტინა	GS	სამხრეთი ჯორჯია და სამხრეთი სენდვიჩის კუნძულები	NZ	ახალი ზელანდია
AT	ავსტრია	GT	გვატემალა	OA	აფრიკის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია (OAPI)
AU	ავსტრალია	GW	გვინეა-ბისაუ	OM	ომანი
AW	არუბა	GY	გაიანა	PA	პანამა
AZ	აზერბაიჯანი	HK	ჰონ კონგი	PE	პერუ
BA	ბოსნია და ჰერცეგოვინა	HN	ჰონდურასი	PG	პაპუა-ახალი გვინეა
BB	ბარბადოსი	HR	ხორვატია	PH	ფილიპინები
BD	ბანგლადეში	HT	ჰაიტი	PK	პაკისტანი
BE	ბელგია	HU	უნგრეთი	PL	პოლონეთი
BF	ბურკინა-ფასო	IB	ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო, WIPO) საერთაშორისო ბიურო	PY	პარაგვაი
BG	ბულგარეთი	ID	ინდონეზია	QA	კატარი
BH	ბაჰრეინი	IE	ირლანდია	QZ	ევროპის თანამეგობრობის მცენარეთა ჯიშების უწყება (CPVO)
BI	ბურუნდი	IL	ისრაელი	RO	რუმინეთი
BJ	ბენინი	IM	მენის კუნძული	RS	სერბია
BM	ბერმუდის კუნძულები	IN	ინდოეთი	RU	რუსეთის ფედერაცია
BN	ბრუნეი-დარუსალამი	IQ	ერაყი	RW	რუანდა
BO	ბოლივია	IR	ირანის ისლამური რესპუბლიკა	SA	საუდის არაბეთი
BR	ბრაზილია	IS	ისლანდია	SB	სოლომონის კუნძულები
BS	ბაჰამის კუნძულები	IT	იტალია	SC	სეიშელის კუნძულები
BT	ბჰუტანი	JE	ჯეზი	SD	სუდანი
BV	ბუვეტის კუნძულები	JM	იამაიკა	SE	შვედეთი
BW	ბოტსვანა	JO	იორდანია	SG	სინგაპური
BX	ბენელუქსის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (BOIP)	JP	იაპონია	SH	წმინდა ელენეს კუნძული
BY	ბელორუსის რესპუბლიკა	KE	კენია	SI	სლოვენია
BZ	ბელიზი	KG	ყირგიზეთი	SK	სლოვაკია
CA	კანადა	KH	კამბოჯა	SL	სიერა-ლეონე
CD	კონგოს დემოკრატიული რესპ.	KI	კირიბატი	SM	სან-მარინო
CF	ცენტრალური აფრიკის რესპ.	KM	კომორის კუნძულები	SN	სენეგალი
CG	კონგო	KN	სენტ კიტსი და ნევისი	SO	სომალი
CH	შვეიცარია	KP	კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა	SR	სურინამი
CI	კოტ-დ'ივუარი	KR	კორეის რესპუბლიკა	ST	სან-ტომე და პრინსიპი
CK	კუკის კუნძულები	KW	კუვეიტი	SV	სალვადორი
CL	ჩილე	KY	კაიმენის კუნძულები	SY	სირია
CM	კამერუნი	KZ	ყაზახეთი	SZ	სვაზილენდი
CN	ჩინეთი	LA	ლაოსი	TC	თერქსის და კაიკოსის კუნძულები
CO	კოლუმბია	LB	ლიბანი	TD	ჩადი
CR	კოსტა-რიკა	PT	პორტუგალია	TG	ტოგო
CU	კუბა	PW	პალაუ	TH	ტაილანდი
CV	მნეანე კონცხის კუნძულები	LC	სენტ-ლუსია	TJ	ტაჯიკეთი
CY	კვიპროსი	LI	ლიხტენშტაინი	TL	ტიმორ-ლესტე
CZ	ჩეხეთის რესპუბლიკა	LK	შრი-ლანკა	TM	თურქმენეთი
DE	გერმანია	LR	ლიბერია	TN	ტუნისი
DJ	ჯიბუტი	LS	ლესოტო	TO	ტონგა
DK	დანია	LT	ლიეტუვა	TR	თურქეთი
DM	დომინიკა	LU	ლუქსემბურგი	TT	ტრინიდადი და ტობაგო
DO	დომინიკელთა რესპუბლიკა	LV	ლატვია	TV	ტუვალუ
DZ	ალჟირი	LY	ლიბია	TW	ტაივანი, ჩინეთის პროვინცია
EA	ევრაზიის საპატენტო ორგანიზაცია (EAPO)	MA	მაროკო	TZ	ტანზანია
EC	ეკვადორი	MC	მონაკო	UA	უკრაინა
EE	ესტონეთი	MD	მოლდოვას რესპუბლიკა	UG	უგანდა
EG	ეგვიპტე	ME	ჩერნოგორია (მონტენეგრო)	US	აშშ
EH	დასავლეთი საჰარა	MG	მადაგასკარი	UY	ურუგვაი
EM	შინაგანი ბაზრის ჰარმონიზაციის უწყება (სასაქონლო ნიშნები და დიზაინი (OHIM)	MK	მაკედონია ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა	UZ	უზბეკეთი
EP	ევროპის საპატენტო უწყება (EUEPO)	ML	მალი	VA	ვატიკანი
ER	ერიტრეა	MM	მიანმა	VC	სანტ-ვინსენტი და გრენადინები
ES	ესპანეთი	MN	მონღოლეთი	VE	ვენესუელა
ET	ეთიოპია	MO	მაკაო	VG	ვირჯინის კუნძულები (ბრიტანეთი)
FI	ფინეთი	MP	ჩრდ. მარიანას კუნძულები	VN	ვიეტნამი
FJ	ფიჯი	MR	მავრიტანია	VU	ვანუატუ
FK	ფოლკლენდის კუნძულები	MS	მონსერატი	WO	WIPO-ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია სამოა
FO	ფარერის კუნძულები	MT	მალტა	XN	ნორდული საპატენტო ინსტიტუტი (NPI)
FR	საფრანგეთი	MU	მავრიკია	YE	იემენი
GA	გაბონი	MV	მალდივის კუნძულები	ZA	სამხრეთ აფრიკა
GB	დიდი ბრიტანეთი	MW	მალავი	ZM	ზამბია
GC	სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭოს უწყება (GCC)	MX	მექსიკა	ZW	ზიმბაბვე

**მცენარეთა და
ცხოველთა ახალი
ჯიშების დაცვის
ოფიციალური
ბიულეტენი**

**Official Bulletin
for the Protection of
New Varieties of
Plants and Breeds of
Animals**

ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის შესახებ მონაცემების ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის განმავლობაში ნებისმიერ პირს აქვს უფლება საქპატენტს წარუდგინოს წერილობითი შედაგება: თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიში არ აკმაყოფილებს დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს; თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა არ არის საკმარისი ამ ჯიშის შესაფასებლად; თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობაში შეტანილია ყალბი მონაცემები; თუ განაცხადში აღწერილ ცხოველის ან მცენარის ახალ ჯიშზე პრიორიტეტის მოთხოვნა სხვა ქვეყანაში ცხოველის ან მცენარის ამ ჯიშზე წარდგენილი განაცხადის მიხედვით საფუძველსაა მოკლებული.

Any person shall be authorized to present to Sakpatenti a written objection within 3 months from the date of publication the new breeds of animals or new varieties of plants data in the official bulletin: in case if the new breed of animal or new variety of plant does not meet the requirements of the criteria of protectability; if description of the new breeds of animals or new varieties of plants does not convey the complete impression for evaluation of the new breeds of animals or new varieties of plants; if the data given in the application are false; if the priority claimed for the new breeds of animals or new varieties of plants described in the application based on the application filed in other country is groundless.

განაცხადის ტიპის ასოითი აღნიშვნა

LETTER INDICATION FOR APPLICATION TYPE

P – მცენარის ახალი ჯიშის განაცხადის აღნიშვნა (Plant)

P – Indication of applications for new plant varieties (Plant)

(10) P 0000 000 A მცენარის ახალი ჯიშის გამოქვეყნების ნომერი (I პუბლიკაცია)
Number of published application for new plant varieties (I publication)

(11) P 0000 000 B მცენარის ახალი ჯიშის მოწმობის ნომერი (II პუბლიკაცია)
Number of Certificate for new plant varieties (II publication)

(21) P 0000 000000 მცენარის ახალი ჯიშის განაცხადის ნომერი
Number of application for new plant varieties

A – ცხოველის ახალი ჯიშის განაცხადის აღნიშვნა (Animal)

A – Indication of applications for animal breeds (Animal)

(10) A 0000 000 A ცხოველის ახალი ჯიშის გამოქვეყნების ნომერი (I პუბლიკაცია)
Number of published application for new animal breeds (I publication)

(11) A 0000 000 B ცხოველის ახალი ჯიშის მოწმობის ნომერი (II პუბლიკაცია)
Number of Certificate for new animal breeds (II publication)

(21) A 0000 000000 ცხოველის ახალი ჯიშის განაცხადის ნომერი
Number of application for new animal breeds

შინაარსი

მცენარეთა ახალი ჯიშების ბანაცხალები

• მოცვი „FC11-164“	2
• მოცვი „რიდლი 1702“	15
• მოცვი „რიდლი 2503“	30
• მოცვი „რიდლი 1607“	43

ოფიციალური შეტყობინებები

მცენარის ახალი ჯიშების რეგისტრაციის ძალადაკარგულად ცნობა	59
--	----

CONTENT

REGISTERED NEW PLANT VARIETIES

• Blueberry "FC11-164"	2
• Blueberry "Ridley 1702"	15
• Blueberry "Ridley 2503"	30
• Blueberry "Ridley 1607"	43

OFFICIAL NOTIFICATIONS

Invalidation of Registration of New Varieties of Plants	59
---	----

მცენარეთა ახალი ჯიშების განაცხადები

ჯიშის კატეგორია:	მცენარე
განაცხადის გამოქვეყნების ნომერი:	P 2025 293 A
პირველი გამოქვეყნების თარიღი:	2025 06 12 №1
განაცხადის ნომერი:	P 2022 293
განაცხადის წარდგენის თარიღი:	2022 07 26

განმცხადებელი:

ფოლ კრიკ ფარმ & ნურსერი, ინკ.

39318 ჯასპერ ლოველ როუდ, 97452, ლოუელი (OR) (US)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

ადამ. ლ უაგნერი (US)

ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

მოცვი / *Vaccinium corymbosum* L.

ჯიშის დასახელება: FC11-164

ჯიშის მოკლე დახასიათება:

წარმოდგენილია მოცვის მცენარის ახალი ჯიში „FC11-164“. „FC11-164“ კომერციული ჯიშია განკუთვნილი ახალი ბაზრისთვის. იგი წარმოიშვა „ZF06-168“ (მდედრი მშობელი) და უცნობი მამრი მშობლის ღია დამტვერვის შედეგად. „FC11-164“ ხასიათდება ვერტიკალური ზრდით, ავლენს ფოთლის სიგრძისა და სიგანის მაღალ თანაფარდობასა და ფოთლის კვანძთაშორის გრძელ სიგრძეს.

APPLICATIONS OF NEW PLANT VARIETIES

CATEGORY OF THE APPLICATION:	PLANT
NUMBER OF PUBLICATION OF THE APPLICATION:	P 2025 293 A
DATE OF THE FIRST PUBLICATION:	2025 06 12 №1
NUMBER OF THE APPLICATION:	P 2022 293
DATE OF FILING OF THE APPLICATION:	2022 07 26

APPLICANT:

Fall Creek Farm and Nursery Inc.
39318 Jasper Lovel Roud, 97452, Lowell (OR) (US)

PERSON WHO BRED, OR DISCOVERED AND DEVELOPED THE VARIETY:

Adam L. Wagner (US)

COMMON NAME AND LATIN NAME OF THE GENUS AND SPECIES:

Bluberry / *Vaccinium corymbosum* L.

VARIETY DENOMINATION: FC11-164**BRIEF DESCRIPTION OF THE VARIETY:**

The new blueberry plant variety “FC11-164” is provided. “FC11-164” is a commercial variety for hand and machine harvest fresh market. The new blueberry plant originated from open pollination of “ZF06-168” (female parent) and an unknown male parent. “FC11-164” is characterized for its upright growth habit, exhibits a high leaf length to width ratio, and produces a long leaf internode length.



ჯიშის აღწერილობა

I. ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

მოცვი / *Vaccinium corymbosum* L.

II. განმცხადებელი:

ფოლ კრიკ ფარმ & ნურსერი, ინკ.

39318 ჯასპერ ლოველ როუდ, 97452, ლოუელი (OR) (US)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

ადამ. ლ უაგნერი (US)

III. ჯიშის დასახელება: FC11-164

IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამოყვანაზე და გამრავლებაზე:

ჯიშის გვარისა და სახეობის ლათინური სახელწოდება: გვარი – *Vaccinium*.

სახეობა – *corymbosum* L.

ჯიშის დასახელება: მოცვის ახალი მცენარე წარმოადგენს ჯიშს, დასახელებით „FC11-164“.

წარმოშობა და ისტორია:

წინამდებარე განაცხადი ეხება ახალი და განსხვავებული მოცვის მცენარის აღმოჩენას (*Vaccinium corymbosum* L.), მოხსენიებული, როგორც „FC11-164“, როგორც აღწერილი და ილუსტრირებულია აქ.

მოცვის მცენარის ახალი ჯიში „FC11-164“ კომერციული ჯიშია და მიღებულია „ZF06-168“-ის (მდედრი მშობელი, რეგისტრირებული არაა) ღია ჯვარედინი დამტკვერვის შედეგად უცნობი მამრი მცენარის მიერ. ღია ჯვარედინი დამტკვერვა, რომელმაც წარმოშვა „FC11-164“, მოხდა 2008 წელს ლოუელში, ორეგონი, აშშ. ახალი ჯიში „FC11-164“ დაირგო ლოუელში, ორეგონი, 2009 წელს და შეირჩა 2011 წელს.

„FC11-164“ უსქესო გზით, როგორიცაა ინ ვიტრო გამრავლება, გამრავლდა ლოუელში, ორეგონი, 2012 წლიდან სხვადასხვა გზით, მათ შორის, ინ ვიტრო გამრავლებით. უსქესო გამრავლების მეთოდმა აჩვენა, რომ ახალი ჯიშის მახასიათებლები არის ერთგვაროვანი, სტაბილური და მკაცრად გადაეცემა ასეთი უსქესო გამრავლებით ერთი თაობიდან მეორეზე. შესაბამისად, ახალი ჯიში სახეობის მიხედვით მრავლდება უსქესო გზით.

მოკლე აღწერილობა

„FC11-164“ კომერციული ჯიშია, რომელიც განკუთვნილია ახალი ხილის ბაზრისთვის. „FC11-164“ არის დაბალი, საშუალო სიძლიერის და ვერტიკალური მცენარე მაღალი პროდუქტიულობით. ნაყოფი ძალიან ხრამუნაა, დიდი ზომის, შესანიშნავი გრძელვადიანი შენახვის თვისებებით. ახალი ჯიშის შემდეგი მახასიათებლები არაერთხელ იქნა დაფიქსირებული და განსაზღვრული, როგორც მოცვის ახალი ჯიშის „FC11-164“ უნიკალური მახასიათებლები:

- o 1) ვერტიკალური ზრდა
- o 2) ფოთლის სიგრძისა და სიგანის მაღალი თანაფარდობა
- o 3) გრძელი ფოთლების კვანძების სიგრძე

ახალი ჯიში ადვილად გამოირჩევა მისი წინამორბედებისგან. უფრო კონკრეტულად, ახალი ჯიში ისხამს კენკრას უფრო ხრამუნა ტექსტურით და „ZF06-168“-სთან შედარებით (ანუ თესლის მშობელი) უკეთესი შენახვის ვადით. ახალი ჯიშის გამორჩევა, ასევე, შესაძლებელია სხვა მსგავსი ჯიშებისგან. მაგალითად, წინამდებარე განაცხადის ახალი ჯიში ადვილად შეიძლება განვასხვავოთ ჯიშისგან „Cargo“ (აშშ მცენარის პატ. №24,661), რადგან იძლევა უფრო დიდ ნაყოფს და ნაკლებად ძლიერია, ვიდრე „Cargo“.

გამოსახულებების მოკლე აღწერა

თანდართულ ფოტოოილუსტრაციებში ნაჩვენებია ახალი ჯიშის „FC11-164“ დაახლოებით სამიდან ოთხ წლამდე ასაკის მცენარეების ტიპური ნიმუშები ფოთლისა და ნაყოფის სრული ფერებით. ფერები, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად ზუსტია.

გამოსახულება 1-ზე ნაჩვენებია ლოუელში, ორეგონი, აშშ, მოყვანილი „FC11-164“-ის ნაყოფი მასშტაბით და პანტონის ფერებით, ფოტო გადაღებულია 2020 წლის 30 ივლისს.

გამოსახულება 2-ზე ნაჩვენებია ლოუელში, ორეგონი, აშშ, მოყვანილი „FC11-164“-ის მცენარის გრძელი კვანძები და ფორმა, ფოტო გადაღებულია 2020 წლის 3 აგვისტოს.

გამოსახულება 3-ზე ნაჩვენებია ლოუელში, ორეგონი, აშშ, მოყვანილი „FC11-164“-ის მწიფე ნაყოფი, ფოტო გადაღებულია 2020 წლის 3 აგვისტოს.

გამოსახულება 4-ზე ნაჩვენებია ლოუელში, ორეგონი, აშშ, მოყვანილი „FC11-164“-ის მწიფე ნაყოფის მტევანი, ფოტო გადაღებულია 2020 წლის 3 აგვისტოს.

გამოსახულება 5-ზე ნაჩვენებია ლოუელში, ორეგონი, აშშ, მოყვანილი „FC11-164“-ის ფოთოლცვენის ფოთლები მასშტაბით და პანტონის ფერებით, ფოტო გადაღებულია 2021 წლის 15 ოქტომბერს.

გამოსახულება 6-ზე ნაჩვენებია ლოუელში, ორეგონი, აშშ, მოყვანილი „FC11-164“-ის მცენარის ყვავილები, ფოტო გადაღებულია 2018 წლის 18 აგვისტოს.

V. ჯიშის ნიშან-თვისებები:

დეტალური ბოტანიკური აღწერა

ქვემოთ მოცემულია „FC11-164“-ის განმასხვავებელი მახასიათებლების დეტალური აღწერა. ამ მახასიათებლების განმსაზღვრელი მონაცემები შეგროვდა თავდაპირველი სელექციის უსქესო გამრავლებიდან. განზომილებები, ზომები, ფერები და სხვა მახასიათებლები სავარაუდო და საშუალო და მითითებული, შეძლებისდაგვარად, ზუსტად. ყველა ზომა არის 2018-2020 წლებში ჩატარებული დაკვირვებების საშუალო მაჩვენებელი. მცენარის ისტორია აღებულია დაახლოებით 6 და 7 წლის მცენარეებიდან და აღწერილობები უკავშირდება მცენარეებს, რომლებიც გაიზარდა მინდორში, ლოუელში, ორეგონი, აშშ. ხილის მახასიათებლების აღწერა გაკეთდა მინდორში მოყვანილ ნაყოფზე, ლოუელში, ორეგონი, აშშ. ფერთა აღნიშვნები არის „პანტონის ფერთა წიგნიდან“ (Leatrice Eiseman and Lawrence Herbery,

Harry N. Abrams, Inc., Publishers, New York 1990). იქ, სადაც პანტონის ფერების აღნიშვნები განსხვავდება ფოტოების ფერებისგან, ზუსტია პანტონის ფერები.

ჯიში

- კლასიფიკაცია:

-

- გვარი – Vaccinium;
 - სახეობა – corymbosum L.;
 - ზოგადი სახელწოდება – ჩრდილოეთის ბუჩქოვანი მოცვი.

- მშობლები:

-

- მდედრი მშობელი – „ZF06-168“ (რეგისტრირებული არაა);
 - მამრი მშობელი – უცნობი (დია დამტკერვა).
 - ბაზრის კლასი: კომერციული ჯიში ახალი მოსავლის ხელით და მანქანით ასაღებად.

მცენარე

- ზოგადი:

-

- მცენარის სიმაღლე – საშუალოდ 1.64 მ;
 - მცენარის სიგანე – საშუალოდ 1.65 მ;
 - ზრდა – ვერტიკალური;
 - ზრდა – დაბალი-საშუალო სიძლიერემდე;
 - პროდუქტიულობა – საშუალოდ მაღალი. დაახლოებით 1.4 კგ/მცენარე 3-4 წლისმცენარეზე, 1.8 კგ/მცენარე ჯიშ „Legacy“-სთან შედარებით (რეგისტრირებული არაა) და კგ/მცენარე ჯიშ „Liberty“-სთან შედარებით (აშშ მცენარის პატ. # 15,146) იმავე ასაკის მცენარეებისთვის;
 - ყინვაგამძლეობა – კარგი. ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთ ვაშინგტონში სიცივისგან დაზიანება არ მომხდარა;
 - ყინვამდგრადობა – შეფასებული არ არის;
 - გაგრილების მოთხოვნა – დაახლოებით 800-1000;
 - მდგრადობა დაავადების მიმართ – არ არის ძალიან მგრძნობიარე;
 - ფოთლიანობა – საშუალო;
 - განშტოება – ძალიან დაბალი.

ღერო

- ზოგადი:

-

- ნაოჭებისკენ მიდრეკილება – არ აქვს;
 - მწიფე ლერწმის ფერი – მთვარის შუქი 15-1309;
 - მწიფე ლერწმის სიგრძე – 159.00 სმ;
 - მწიფე ლერწმის სიგანე – 7.59 მმ ერთი წლის ლერწამზე;

- ქერქის ტექსტურა – უხეში;
- შემოდგომის ფერი ახალ ამონაყარზე – მწარე შოკოლადი 19-1317;
- ახალი მერქნის ზედაპირის ტექსტურა – გლუვი;
- კვანძების სიგრძე ძლიერ, ახალ ამონაყარზე – 26.28 მმ;
- მსხმოიარე მერქანი – 32 სმ სიგრძე.

ფოთლები

- ზოგადი:

0

- ფოთლის კვირტების გაშლის დაწყების დრო – შუა მარტი;
- ფოთლის ფერი (ზემოდან) – მწვანე ხახვისფერი 19-0315;
- ფოთლის ფერი (ქვემოდან) – მონაცრისფრო-მომწვანო 15-0318;
- ფოთლის განლაგება – ალტერნატიული და სპირალურად განლაგებული: დექსტროზა;
- ფოთლის ფორმა – ელიფსური;
- ფოთლის კიდეები – მთლიანი;
- ტალღოვანი კიდეები – არა;
- ფოთლის ძარღვები – ანასტომოზი;
- ფოთლების წვერო – ბასრი;
- ფოთლის ფუძე – სოლის ფორმის;
- ფოთლის სიგრძე – 74.20 მმ;
- ფოთლის სიგანე – 31.74 მმ;
- ფოთლის სიგრძის/სიგანის თანაფარდობა – მაღალი;
- ფოთლის ნექტარი – არ არის;
- ზედა ბუსუსები – არა;
- ქვედა ბუსუსები – არა;
- განივკვეთი პროფილი – აბაქსიალური მხრისკენ დახვეული კიდეების მქონე;
- სიგრძივი პროფილი – ბრტყელი;
- პოზიცია – სწორი;
- ფოთოლცვენის ფერი – მწარე შოკოლადი 19-1317.

- ფოთლის ყუნწი:

0

- სიგრძე – 4.96 მმ;
- სიგანე – 1.86 მმ;
- ფერი – ოქროსფერი მწვანე 15-0636;
- ზედაპირის ტექსტურა – გლუვი.

ყვავილები

- ზოგადი:

0

- ყვავილობის დაწყების დრო – დაახლოებით 17 აპრილი;
- 50%-იანი ყვავილობის დრო – შუა აპრილი;

- ყვავილის ფორმა – კოკორისებრი;
 - ყვავილის კვირტების სიხშირე – საშუალო;
 - ყვავილის სურნელი – მცირე, არანაირი, ყვავილოვანი;
 - უმწიფარი ყვავილის ფერი – ფლამინგოსფერი ვარდისფერი 15-1821;
 - მტვრის შეფერვა – არ შეინიშნება;
 - შეთავსებადობა – „FCII-164“-ის შეთავსებადობა განიხილება ზომიერად თავსებადად, „Legacy“-სთან (რეგისტრირებული არაა) შედარებით, რომელიც ძალიან თავსებადია.
- გვირგვინი:
 - 0
 - ფერი – მარგალიტი 12-1304;
 - სიგრძე – 8.70 მმ;
 - სიგანე – 7.11 მმ;
 - ღიობის სიგანე – 3.64 მმ;
 - გვირგვინის ანტოციანინის შეფერილობა – დაბალი;
 - ამოზნექილი გვირგვინი – არის;
 - სტიგმის პროტრუზია – 0.63 მმ.
- ყვავილედ:
 - 0
 - სიგრძე – 25.02 მმ;
 - დიამეტრი – 24.52 მმ;
 - ყვავილის ყუნწის სიგრძე – 10.89 მმ;
 - ყვავილის ყუნწის დიამეტრი – გაურკვეველი;
 - ყვავილის ყუნწის ზედაპირის ტექსტურა – გლუვი;
 - ყვავილის ყუნწის ფერი – გამხმარი ვარდი 18-1629;
 - ღერაკის სიგრძე – 5.15 მმ;
 - ღერაკის დიამეტრი – გაურკვეველი;
 - ღერაკის ზედაპირის ტექსტურა – გლუვი;
 - ღერაკის ფერი – ატმის ყვავილობა 16-1626;
 - ყვავილების რაოდენობა მტევანზე – საშუალოდ 6.7;
 - ყვავილის მტევნის სიხშირე – საშუალო.
- ფოთოლაკი (ჯამის ფოთლით):
 - 0
 - დიამეტრი – 7.74 მმ;
 - ფერი (ჯამის ფოთლი) – მიწისფერი 16-1526;
 - ფოთოლაკის ზედაპირი – გლუვი.

- ბუტკო:
 -
 - სიგრძე – 9.57 მმ;
 - ნასკვის ფერი (გარე) – პერიდოტი 17-0336;
 - ღეროს სიგრძე – 8.84 მმ.
- მტვრიანა:
 -
 - სიგრძე – 6.64 მმ;
 - რაოდენობა – 10;
 - მტვრიანას ძაფის ფერი – სატაცურის ფერი მწვანე 12-0311.
- სამტვრე:
 -
 - სიგრძე – 4.15 მმ;
 - რაოდენობა – 2 ცალი თითო მტვრიანას ძაფზე;
 - ფერი – ინკა-ოქროსფერი 17-1048.
- მტვერი:
 -
 - სიმრავლე – საშუალო;
 - ფერი – სიმინდის ფუჩეჩი 12-0817.

ნაყოფი

- ზოგადი:
 -
 - ნაყოფის დამწიფების დრო – ივლისის დასაწყისიდან შუა აგვისტომდე. ჩვეულებრივ მოსავლის აღების დრო არის 30-31-ე კვირის განმავლობაში;
 - 50%-იანი დამწიფების დრო – საშუალოდ, ივლისის დასაწყისი;
 - ნაყოფის განვითარების პერიოდი – საშუალოდ 85 დღე 50%-იანი ყვავილობიდან
 - 505-იან სილურჯემდე;
 - მტევნის სიხშირე – საშუალოდ 4.7 კენკრა მტევანზე;
 - მკვახე ნაყოფის ფერი – ნათელი შარტრეზი 14-0445;
 - მწიფე კენკრის ფერი – იასამნისფერი ღრუბელი 16-3919;
 - ცვილის რაოდენობა კენკრის ზედაპირზე – საშუალო;
 - კენკრის რბილობის ფერი – ნისლისფერი მწვანე 13-0210;
 - კენკრის წონა – 2.66 გრამი;
 - კენკრის სიმაღლე ფოთოლაკიდან ყუნწამდე – 12.94 მმ;
 - კენკრის დიამეტრი – 17.96 მმ;
 - ფოთოლაკის ღიობი – 6.92 მმ;
 - ფოთოლაკის სიღრმე – არაღრმა;

- ღერაკის სიგრძე – 5.15 მმ;
- ღერაკის ზედაპირის ტექსტურა – გლუვი;
- კენკრის გამოცალკევება – საშუალოდ იოლი;
- კენკრის ფორმა – პოლუსებთან შებრტყელებული;
- ნაყოფის ყუნწი – 1.86 მმ;
- კენკრის გემო – მსუბუქი, ტკბილი ტარტი;
- მწიფე ნაყოფის სიტკბო – საშუალო;
- მწიფე ნაყოფის სიმაგრე – ძალიან მაღალი;
- მწიფე ნაყოფის მჟავიანობა – საშუალო;
- შენახვის ხარისხი – შესანიშნავი, დაახლოებით 60 დღე;
- შესაფერისობა მოსავლის მექანიკური აღებისთვის – შესანიშნავი;
- თვითნაყოფიერება – ჯვარედინი დამტვერვა არ არის საჭირო, მაგრამ ნაყოფის ზომა უმჯობესდება ჯვარედინი დამტვერვით;
- გამოყენება – ცოცხლად ან დამუშავებული.

თესლი

- ზოგადი:
 - o
 - თესლის სიმრავლე ნაყოფში – საშუალო;
 - თესლის ფერი – ყავისფერი შაქარი 17-1134;
 - თესლის მშრალი წონა – 26.7 მგ 100 ცალ კურკაზე;
 - თესლის სიგრძე – 1.5 მმ.

ახალი ჯიშისა და კომერციული კულტივირების შედარება

ცხრილი 1

შედარების ცხრილი			
მსგავსი ჯიშის დასახელება	მახასიათებლები შედარებისთვის	მსგავსი ჯიშის გამოხატვის მდგომარეობა	კანდიდატი ჯიშის „FC11-164“ გამოხატვის მდგომარეობა
„Cargo“ (აშშ მცენარის პატ. №24,661)	შენახვის ვადა	საშუალო	შესანიშნავი
„Cargo“ (აშშ მცენარის პატ. № 24,661)	ნაყოფის ზომა	ზომიერად დიდი	დიდი
„Cargo“ (აშშ მცენარის პატ. №24,661)	სიმწიფე	ძალიან მაღალი	საშუალო
„Cargo“ (აშშ მცენარის პატ. №24,661)	მოსავლის აღების სეზონი	ადრეული-შუა	შუა-გვიანი
„Cargo“ (აშშ მცენარის პატ. №24,661)	ხილის სიმაგრე	საშუალო	შესანიშნავი

მოცვის ახალი ჯიში „FC11-164“ არ შემოწმებულა ყველა შესაძლო გარემო პირობებში. ფენოტიპი შეიძლება გარკვეულწილად განსხვავდებოდეს გარემო პირობებისა და კულტურული პრაქტიკის ცვლილებებით, როგორცაა ტემპერატურა და სინათლის რაოდენობა, გენოტიპში რაიმე განსხვავების გარეშე.

ფორმულა:

1. მოცვის მცენარის ახალი და განსხვავებული ჯიში სახელად „FC11-164“, ძირითადად, როგორც ნაჩვენებია და აღწერილია აქ.



გამოსახულება 1



გამოსახულება 2



გამოსახულება 3



გამოსახულება 4



გამოსახულება 5



გამოსახულება 6

ჯიშის კატეგორია: მცენარე
 განაცხადის გამოქვეყნების ნომერი: P 2025 300 A
 პირველი გამოქვეყნების თარიღი: 2025 06 12 №1
 განაცხადის ნომერი: P 2023 300
 განაცხადის წარდგენის თარიღი: 2023 06 15

განმცხადებელი:

მაუნთინ ბლუ ორჩარდს, ფთი ლტდ
 1372A ბრუქსნერ ჰაივეი, 2480, ლინდენდეილ, ნიუ საუთ უელს (AU)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

რიდლი ბელ (AU)

ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

მოცვი / Vaccinium Hybrid

ჯიშის დასახელება: რიდლი 1702

ჯიშის მოკლე დახასიათება:

აღწერილია მოცვის ახალი ჯიში „რიდლი 1702“. „რიდლი 1702“ კომერციული ჯიშია, რომელიც განკუთვნილია კენკრის ნედლი სახით ტრანსპორტირებისთვის, ხელით კრეფისთვის, მომხმარებლის მიერ კრეფისთვის, მოსავლის მანქანით აღებისთვის, გადამამუშავებელი ბაზრებისთვის და საბაღე პირობებში მოყვანისთვის. ჯიში წარმოებულია „რიდლი 1403“-სა და „რიდლი 1812“-ს შეჯვარებით, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული მახასიათებლებით.

CATEGORY OF THE APPLICATION:	PLANT
NUMBER OF PUBLICATION OF THE APPLICATION:	P 2025 300 A
DATE OF THE FIRST PUBLICATION:	2025 06 12 №1
NUMBER OF THE APPLICATION:	P 2023 300
DATE OF FILING OF THE APPLICATION:	2023 06 15

APPLICANT:

MOUNTAIN BLUE ORCHARDS, PTY LTD
10372a Bruxner Highway, 2480, LINDENDALE, NEW SOUTH WALES (AU)

PERSON WHO BRED, OR DISCOVERED AND DEVELOPED THE VARIETY:

Ridley Bell (AU)

COMMON NAME AND LATIN NAME OF THE GENUS AND SPECIES:

Blueberry / Vaccinium Hybrid

VARIETY DENOMINATION: Ridley 1702

BRIEF DESCRIPTION OF THE VARIETY:

The new blueberry plant variety “Ridley 1702” is provided. “Ridley 1702” is a commercial variety intended for use as fresh fruit for shipping, hand pick, customer pick, machine harvest and processing markets and as a home garden plant. The variety is produced from a cross of “Ridley 1403” and “Ridley 1812”, which can be distinguished by its outstanding features.



ჯიშის აღწერილობა

I. ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

მოცვი / *Vaccinium Hybrid*

II. განმცხადებელი:

მაუნთინ ბლუ ორჩარდს, ფთი ლტდ

1372A ბრუქსნერ ჰაივეი, 2480, ლინდენდეილ, ნიუ საუთ უელს (AU)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

რიდლი ბელ (AU)

III. ჯიშის დასახელება: რიდლი 1702

IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამოყვანაზე და გამრავლებაზე:

ჯიშის გვარისა და სახეობის ლათინური სახელწოდება:

გვარი – *Vaccinium*;

სახეობა – *hybrid*.

ჯიშის დასახელება: მოცვის ახალი მცენარე სახელწოდებით „რიდლი 1702“.

განაცხადის წინაპირობები და მოკლე აღწერილობა

წინამდებარე განაცხადი ეხება *Vaccinium* ჰიბრიდის ახალ და განსხვავებულ მრავალწლიან ჯიშს (სამხრეთული მაღალბუჩქოვანი მოცვი), რომელსაც მიენიჭა ჯიშის დასახელება „რიდლი 1702“. მისი საბაზრო კლასი არის ნაყოფიანი მცენარე. „რიდლი 1702“ გამიზნულია როგორც ახალი ხილის გადასაზიდად, ხელით საკრეფად, მომხმარებლის მიერ მოსაკრეფად, მოსავლის მექანიკური მეთოდით ასაღებად და გადამამუშავებელი ბაზრებისთვის, ასევე, როგორც ეზოს მცენარე.

ახალი *Vaccinium* ჰიბრიდული ჯიში წარმოადგენს სელექციას, რომელიც მიღებულია *Vaccinium* გამრავლების პროგრამაში წარმოებული თესლისგან 2011 წელს ლინდენდეილში, NSW, ავსტრალიაში, „რიდლი 1403“ მშობელი ფორმის ხელოვნური დამტკერვის შედეგად (აშშ მცენარის პატენტი #25,432) სამტკერებელთან „რიდლი 1812“ (რეგისტრირებული არაა).

მშობელი ფორმა წარმოებულია „S02-25-05“ ჩითილის სელექციიდან (რეგისტრირებული არაა) და „S03-08-02“ სამტკერებელიდან (რეგისტრირებული არაა). სამტკერებელი წარმოებულია „S01-28-01“ ჩითილის სელექციიდან (რეგისტრირებული არაა) და „S01-23-01“ სამტკერებელიდან (რეგისტრირებული არაა).

ახალი ჯიშის მცენარეები განსხვავდებიან „რიდლი 1403“-ს მშობელი ფორმის მცენარეებისგან, ძირითადად ბუჩქის სტრუქტურით, რომელიც არის ვერტიკალური/დახრილი, უფრო დიდი ნაყოფის ზომით, უფრო ძლიერი ყვავილით, უფრო მყარი და ხრამუნა კენკრით და უკეთესი ვარგისიანობით მოსავლის მექანიკური მეთოდით ასაღებად.

ახალი ჯიშის მცენარეები განსხვავდებიან „რიდლი 1812“ სამტვერებელი მცენარეებისგან ძირითადად იმით, რომ ყვავიან უფრო ადრეულ სეზონზე და აქვთ უფრო დიდი, უფრო მყარი და ხრამუნა ნაყოფი, რომელიც უკეთესია მოსავლის მექანიკური აღების მეთოდისთვის.

დასახელდა მოცვის ახალი ჯიში „რიდლი 1702“, რომელიც დარგეს განმეორებით ცდებში 2017 წლიდან.

Vaccinium-ის ახალი ჰიბრიდული ჯიში წარმოადგენს სელექციას, მიღებულს Vaccinium გამრავლების პროგრამაში წარმოებული თესლისგან 2011 წელს ლინდენდეილში, NSW, ავსტრალიაში, „რიდლი 1403“ მშობელი ფორმის ხელოვნური დამტვერვის შედეგად სამტვერებელთან „რიდლი 1812“.

ახალი ჯიშის ვეგეტატიური რეპროდუქციამ კალმების გამრავლების გზით 2014 წლიდან ლინდენდეილში, ახალი სამხრეთი უელსი, ავსტრალია, აჩვენა, რომ ახალი ჯიში მრავლდება ყველა იმ მახასიათებლით, როგორც აღწერილია დოკუმენტში, მყარად დაფიქსირებული და შენარჩუნებულია ვეგეტატიურად გამრავლებული თაობებით.

ახალი ჯიში აღმოაჩინეს და შეირჩა, როგორც ერთი მცენარე 100 პოპულაციაში, რის შედეგადაც მიღებულ იქნა Vaccinium ჰიბრიდული მცენარე ხელოვნური დამტვერვის შედეგად 2014 წელს, ტაბულამში, ახალი სამხრეთი უელსი, ავსტრალია. სელექციის კრიტერიუმები იყო მცენარის ძლიერი ზრდის, ვერტიკალური/დრეკადი ზრდის მიმართულების, შუასეზონური ყვავილობის და ნაყოფის დამწიფების, მოსავლის ადვილად აღების, ძალიან დიდი ნაყოფის, კარგი არომატის, სიმყარის, სიხრამუნის, თავისუფალი მტევნების და ძალიან კარგი ყვავილობის კომბინაცია.

სელექცია ფასდებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში კომერციულ ფერმებში ტაბულამში, ახალი სამხრეთი უელსი, ავსტრალია.

განმეორებით დაფიქსირდა ახალი ჯიშის შემდეგი მახასიათებლები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას „რიდლი 1702“-ს, როგორც Vaccinium ჰიბრიდული მცენარის ახალი და განსხვავებული ჯიშის გამოსაყოფად:

•

- o 1. ვერტიკალური/დრეკადი ზრდის ტიპი;
- o 2. მცენარის მძლავრი ძალა;
- o 3. მაღალი მოსავლიანობა;
- o 4. ადრეული სეზონი;
- o 5. ძალიან ხრამუნა;
- o 6. ძალიან მყარი;
- o 7. კარგი (ტკბილი) არომატი;
- o 8. ფხვიერი მტევნები;
- o 9. ძალიან კარგი ყვავილი;
- o 10. ნაყოფის ძალიან დიდი ზომა;
- o 11. ვარგისია მოსავლის მექანიკური მეთოდით ასაღებად.

ახალი ჯიშის მცენარეები განსხვავდებიან „რიდლი 1403“ მშობელი ფორმის მცენარისგან, ძირითადად ბუჩქის სტრუქტურით, რომელიც არის ვერტიკალური/დრეკადი, უფრო დიდი ნაყოფის ზომით, უფრო ძლიერი ყვავილით, უფრო მყარი და ხრამუნა კენკრით და უკეთესია მოსავლის მექანიკური აღების მეთოდისთვის. ახალი ჯიშის მცენარეები განსხვავდებიან „რიდლი 1812“ სამტვერებელი მცენარეებისგან, ძირითადად იმით, რომ ყვავიან უფრო ადრეული სეზონზე და აქვთ უფრო დიდი ზომის უფრო მკვრივი და ხრამუნა ნაყოფი, რომელიც უკეთესია მოსავლის მექანიკური აღების მეთოდისთვის.

ახალი ჯიშის ვეგეტატიურმა რეპროდუქციამ კალმების გამრავლების გზით 2014 წლიდან ლინდენდეილში, ახალი სამხრეთი უელსი, ავსტრალია, აჩვენა, რომ ახალი ჯიში მრავლდება ყველა იმ მახასიათებლით, როგორც აღწერილია დოკუმენტში, მყარად დაფიქსირებული და შენარჩუნებულია ვეგეტატიურად გამრავლებული თაობებით.

გამოსახულებების მოკლე აღწერა

თანმხლებ ფოტოილუსტრაციაში ნაჩვენებია ტიპური ნიმუშები „რიდლი 1702“ ახალი ჯიშის ფოთლებისა და ნაყოფის სრული ფერით, ფერები მიახლოებულია რეალურთან, როგორც გონივრულად არის შესაძლებელი აღნიშნული ტიპის ფერებში.

გამოსახულება 1 – ახალი „რიდლი 1702“ ჯიშის ფოტო, რომელზეც ნაჩვენებია მცენარის ვერტიკალური/დრეკადი ზრდის ტიპი;

გამოსახულება 2 – ახალი „რიდლი 1702“ ჯიშის ნაყოფის ფოტო;

გამოსახულება 3 – ახალი „რიდლი 1702“ ჯიშის ყვავილების ფოტო;

გამოსახულება 4 – ახალი „რიდლი 1702“ ჯიშის ფოთლების ფოტო;

გამოსახულება 5 – ახალი „რიდლი 1702“ ჯიშის ნაყოფის მტევნის და ახალი ყლორტის, ნაყოფის და ფოთლების ფოტო;

გამოსახულება 6 – ახალი „რიდლი 1702“ ჯიშის ვეგეტატიური ყლორტის ფოტო;

გამოსახულება 7 – ახალი „რიდლი 1702“ ჯიშის ნაყოფის ჯვარედინი კვეთის ფოტო.

ფოტოსურათებში წარმოდგენილი ფერები მაქსიმალურად ახლოსაა ფოტოგრაფიულ და ბექედურ გამოყენებით ტექნოლოგიასთან. დეტალურ ბოტანიკურ აღწერილობაში მოყვანილი ფერები ზუსტად აღწერს ახალი მოცვის ფერებს.

V. ჯიშის ნიშან-თვისებები:

დეტალური ბოტანიკური აღწერა

შემდეგი დეტალური აღწერა ასახავს „რიდლი 1702“-ს განმასხვავებელ მახასიათებლებს. მონაცემები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ მახასიათებლებს, შეგროვდა ორიგინალური სელექციის ვეგეტატიური რეპროდუქციებიდან. განზომილებები, ზომები, ფერები და სხვა მახასიათებლები წარმოადგენს მიახლოებულ და საშუალო მნიშვნელობებს, რომლებიც მითითებულია მაქსიმალურად შესაძლო სიზუსტით. მცენარეთა ისტორია აღებულია დაახლოებით 1-2 წლიან მცენარეებზე და აღწერილობები ეხება მინდორში გაშენებულ

მცენარეებს ტაბულამში, ახალი სამხრეთ უელსი, ავსტრალია. ხილის მახასიათებლების აღწერა განხორციელდა ტაბულამში, ახალი სამხრეთ უელსი, ავსტრალია მოყვანილ ხილზე. ფერების აღნიშვნები აღებულია სამეფო მებაღეობის საზოგადოების ფერთა სქემიდან (მეექვსე გამოცემა).

- კლასიფიკაცია:
 - ა. ოჯახი – Ericaceae;
 - ბ. ტიპი – Vaccinium;
 - გ. სახეობა – ჰიბრიდი;
 - დ. საერთო სახელი – სამხრეთული მაღალბუჩქოვანი მოცვი.
- წარმოშობა: მდედრი მშობელი „რიდლი 1403“; მამრი სქესის მშობელი „რიდლი 1812“.
- საბაზრო კლასი: ნაყოფიანი მცენარე, რომელიც განკუთვნილია ახალი ხილის ბაზრისთვის, გადაზიდვის, ხელით არჩევის, მომხმარებელთა მიერ არჩევის, მოსავლის მექანიკური აღების და გადამამუშავებელი ბაზრებისთვის და როგორც ეზოს მცენარე.

მცენარე

- ზოგადი:
 -
 - მდედრი მშობელი – „რიდლი 1403“, მამრი მშობელი „რიდლი 1812“;
 - მცენარის სიმაღლე – 1.4-1.8 მ (1.68 მ);
 - მცენარის სიგანე – 1-1.5 მ (1.25 მ);
 - ზრდის ტიპი – ვერტიკალური/დრეკადი;
 - ზრდა – ძლიერი;
 - პროდუქტიულობა – 5.3 კგ/მცენარე 2 წლიან ბუჩქზე;
 - გაფოთვლა – ვეგეტატიური კვირტის აყვავება არის საშუალო;
 - ბუჩქოვანება – დაბალი-საშუალო.

ღერო

- ზოგადი:
 -
 - შეწოვის ტენდენცია – დაბალი; <5 ლერწამი/მცენარე;
 - მწიფე ლერწმის ფერი – 199D / 197D;
 - მწიფე ლერწმის სიგრძე – 1.2-1.6 მ;
 - მწიფე ლერწმის სიგანე – 1.5-2.8 სმ;
 - ქერქის ტექსტურა – საშუალო სიხისტის (ჯიშისთვის დამახასიათებელი);
 - ახალი ტოტის ზედაპირის ტექსტურა – გლუვი;
 - შიდაკვანძოვანი სიგრძე ძლიერი, ახალ ყლორტებზე – 18-22 მმ;
 - ნაყოფიანი ტოტი – 15-16 სმ სიგრძეში.

ფოთლები

- ზოგადი:
 -

- ფოთლის კვირტის აყვავების დაწყების დრო – საშუალო;
 - ფოთლის ფერი (ზედა მხარე) – 146A / 141A;
 - ფოთლის ფერი (ქვედა მხარე) – 138B / C;
 - ფოთლის წყობა – ალტერნატიული;
 - ფოთლის ფორმა – ელიფსური;
 - ფოთლის კიდეები – მთლიანი;
 - კიდის უსწორმასწორობა – სუსტი;
 - ფოთლის დაძარღვა – ბადისებრი;
 - ფოთლის წვერები – ბასრი;
 - ფოთლის ძირი – გლუვი;
 - ფოთლის სიგრძე – 65-80 მმ (73.1);
 - ფოთლის სიგანე – 33-38 მმ (35.3);
 - ფოთლის სიგრძის/სიგანის შეფარდება – 1:1.97 – 1:2.11;
 - ფოთლის ნექტარი – არა;
 - ზედა მხარის დამწიფება – არა;
 - ქვედა მხარის დამწიფება – არა;
 - ჯვარედინი კვეთის პროფილი – ბრტყელი;
 - გრძივი პროფილი – სწორი;
 - მიმართულება – ნახევრად ვერტიკალური.
- ფოთლების ყუნწი:
 - o
 - სიგრძე – 3.5-6 მმ (4.9);
 - სიგანე – 2-2.5 მმ (2.2);
 - ფერი – 144D / 142C.
- ყვავილები**
- ზოგადი:
 - o
 - ყვავილობის დაწყების დრო – 17-20 კვირა ტაბულამში, ავსტრალია;
 - 50% ყვავილობის დრო – 27-31 კვირა ტაბულამში, ავსტრალია;
 - ყვავილის ფორმა – დოქისებრი;
 - ყვავილის კვირტის სიმჭიდროვე – 7-10 კვირტი/გვერდითა;
 - ყვავილის სურნელი – სუსტი (ტკბილი სურნელი).
 - გვირგვინი:
 - o
 - ფერი – თეთრი 155A / C;
 - სიგრძე – 8-10 მმ;
 - სიგანე – 9-11 მმ;
 - ღარის სიგანე – 4-6 მმ;

- გვირგვინის ანთოციანინის შეფერილობა – არა;
- გვირგვინის კიდეები – დიახ;
- ბუტკოს დინგის პროტრუზია – დიახ (1-2 მმ).

ყვავილობა:

- ზოგადი:

0

- სიგრძე – 40-80 მმ;
- დიამეტრი – 30-45 მმ;
- ყვავილის ყუნწის სიგრძე – 30-35 მმ;
- ყვავილის ყუნწის ზედაპირის ტექსტურა – გლუვი;
- ყვავილის ყუნწის ფერი – 144C / 145A;
- ყვავილის ყუნწის სიგრძე – 10-18 მმ;
- ყვავილის ყუნწის ზედაპირის ტექსტურა – გლუვი;
- ყვავილის ყუნწის ფერი – 144C / 145A;
- ყვავილების რაოდენობა თითოეულ მტევანზე – 6-10 ყვავილი/კვირტი;
- ყვავილის მტევნის სიმჭიდროვე – თავისუფალი-საშუალო.

- ყვავილის ჯამი (ფოთლებით):

0

- დიამეტრი – 6-8 მმ (6.9);
- ფერი (ფოთლები) – 203B / C.

- მტვრიანა:

0

- სიგრძე – 7-9 მმ;
- ყვავილების რაოდენობა – დაახლოებით 10-12;
- მტვრიანას ძაფის ფერი – 142C .

- ბუტკო:

0

- სიგრძე – 10-13 მმ;
- ბუტკოს სვეტის სიგრძე – 7-10 მმ;
- ნასკვის ფერი (გარე) – 146A / 146B / 144A.

- სამტვერე:

0

- სიგრძე – 4-5 მმ;
- რაოდენობა – დაახლოებით 10-12;
- ფერი – 163A / N167A.
- ყვავილის მტვერი:

- სიუხვე – საშუალო-მაღალი;
- თვითთავსებადობა – 99% თვით-დამტკერვად ტესტებში.

ნაყოფი

- ზოგადი:

0

- ნაყოფის მომწიფების დრო – 24-29 კვირა (ტაბულამში, ავსტრალია);
- 50 % დამწიფების დრო – 36-41 კვირა (ტაბულამში, ავსტრალია);
- ნაყოფის განვითარების პერიოდი – 55-65 დღე (ტაბულამში, ავსტრალია);
- მტევნის სიმკვრივე – თავისუფალი, დაახლოებით 35-45 კენკრა თითოეულ ტოტზე;
- დაუმწიფებელი ხილის ფერი – 144A / 143A;
- მწიფე კენკრის ფერი – 144A / 143A;
- კენკრის ზედაპირის ცვილის სიუხვე – ძლიერი.
- კენკრის ნაყოფის ფერი – 155C;
- კენკრის წონა – 3,75 გ.
- კენკრის სიმაღლე ყვავილის ჯამიდან ნაწიბურამდე – 15 მმ;
- კენკრის დიამეტრი – საშუალოდ 20.9 მმ;
- კენკრის ფორმა – შეზნექილი;
- ნაყოფის ღეროს ნაწიბური – მცირე/მშრალი;
- სიტკბო მომწიფებისას – საშუალო-მაღალი;
- სიმტკიცე დამწიფობისას – ძალიან მყარი;
- მჟავიანობა მომწიფებისას – დაბალი-საშუალო.
- შენახვის ხარისხი – კარგი. 6-8 კვირა 0-2 გრადუს ცელსიუსზე, არ არის ტესტირებული შეცვლილ ატმოსფეროში;
- ვარგისიანობა მოსავლის მექანიკური მეთოდით აღებისას – ძალიან მყარი ნაყოფი და ადვილად მოსაკრები, ვარგისია მექანიკური მეთოდით მოსავლის აღებისთვის;
- თვით-ნაყოფიერება – 99% ნაყოფი საკუთარი მტვრით ლინდენდეილში, ავსტრალიაში ჩატარებულ ტესტებში;
- გამოყენება – ახალი ხილი გადაზიდვისთვის, მომხმარებელთა მიერ კრეფისა და გადამუშავების ბაზრებისთვის და ასევე როგორც ეზოს მცენარე.

შედარება მშობლიური და კომერციული მცენარის კულტურულ სახეობებს შორის

ცხრილი 1

ორგანიზმი	სტრუქტურა	„რიდლი 1702“
1	2	3
მცენარე	სიმძლავრე	ძლიერი
მცენარე	ზრდის ტიპი	ვერტიკალური/დრეკადი
ერთწლიანი ყლორტი	ფერი	მწვანე
ერთწლიანი ყლორტი	შიდა კვანძის სიგრძე	საშუალო
ფოთოლი	სიგრძე	გრძელი
ფოთოლი	სიგანე	ფართო
ფოთოლი	ფორმა	ელიფსური
ფოთოლი	ზედა ნაწილის ფერი	მწვანე
ფოთოლი	მწვანე ფერის ინტენსივობა ზედა მხარეს (ჯიშები მხოლოდ ფოთლის მწვანე ფერით)	საშუალო
ფოთოლი	კიდე	მთლიანი
ყვავილის კვირტი	ანთოციანური შეფერილობა	სუსტი
ყვავილი	გვირგვინის ფორმა	დოქისებრი
ყვავილი	გვირგვინის მილის ზომა	საშუალო
ყვავილი	გვირგვინის მილის ანთოციანური შეფერილობა	არა ან ძალიან სუსტი
ყვავილი	კიდეები გვირგვინის მილზე	დიახ
ნაყოფის მტევანი	სიმჭიდროვე	საშუალო-თავისუფალი
უმწიფარი ნაყოფი	მწვანე ფერის ინტენსივობა	ღია
ნაყოფი	ზომა	ძალიან დიდი
ნაყოფი	ფორმა გრძელ მონაკვეთში	შეკუმშული
ნაყოფი	ჯამის ფოთლების მიმართულება	სწორად მდგომი
ნაყოფი	ყვავილის ჯამის ძირის დიამეტრი	დიდი
ნაყოფი	ყვავილის ჯამის ძირის სიღრმე	ღრმა
ნაყოფი	ყვავილობის ინტენსივობა	საშუალო-ძლიერი
ნაყოფი	კანის ფერი	მუქი ლურჯი
ნაყოფი	სიმყარე	ძალიან მაგარი
ნაყოფი	სიტკბო	საშუალო-მაღალი
ნაყოფი	მჟავიანობა	დაბალი-საშუალო
დრო	ვეგეტატიური კვირტის აყვავება	საშუალო
დრო	აყვავების დაწყება	საშუალო
დრო	ნაყოფის დამწიფების დაწყება	საშუალო

ორგანიზმი	„რიდლი 1812“	„რიდლი 1403“ (U.S. Plant Pat. No. 25,432)
1	2	3
მცენარე	საშუალო	ძლიერი
მცენარე	ვერტიკალური	ვერტიკალური/დრეკადი
ერთწლიანი ყლორტი	მწვანე	მწვანე
ერთწლიანი ყლორტი	საშუალო	საშუალო
ფოთოლი	გრძელი-ძალიან გრძელი	გრძელი-ძალიან გრძელი
ფოთოლი	ფართო	ფართო
ფოთოლი	ელიფსური	ელიფსური
ფოთოლი	მწვანე	მწვანე
ფოთოლი	საშუალო	საშუალო
ფოთოლი	მთლიანი	მთლიანი
ყვავილის კვირტი	სუსტი	სუსტი
ყვავილი	დოქისებრი	დოქისებრი
ყვავილი	საშუალო	საშუალო-დიდი
ყვავილი	არა ან ძალიან სუსტი	არა ან ძალიან სუსტი
ყვავილი	დიახ	დიახ
ნაყოფის მტევანი	საშუალო	საშუალო - მჭიდრო
უმწიფარი ნაყოფი	ღია	ღია
ნაყოფი	დიდი-ძალიან დიდი	ძალიან დიდი
ნაყოფი	შეკუმშული	მრგვალი
ნაყოფი	სწორად მდგომი	სწორად მდგომი
ნაყოფი	დიდი-ძალიან დიდი	დიდი
ნაყოფი	ღრმა-ძალიან ღრმა	ღრმა
ნაყოფი	საშუალო	ძალიან მყარი
ნაყოფი	მუქი ლურჯი	მუქი ლურჯი
ნაყოფი	საშუალო	ძალიან მყარი
ნაყოფი	საშუალო-მაღალი	მაღალი
ნაყოფი	საშუალო-მაღალი	დაბალი
დრო	საშუალო	ადრე-საშუალო
დრო	გვიან	ადრე-საშუალო
დრო	გვიან	ადრე-საშუალო



გამოსახულება 1



გამოსახულება 2



გამოსახულება 3



გამოსახულება 4



გამოსახულება 5



გამოსახულება 6



გამოსახულება 7

ჯიშის კატეგორია:	მცენარე
განაცხადის გამოქვეყნების ნომერი:	P 2025 301 A
პირველი გამოქვეყნების თარიღი:	2025 06 12 №1
განაცხადის ნომერი:	P 2023 301
განაცხადის წარდგენის თარიღი:	2023 06 15

განმცხადებელი:

მაუნთინ ბლუ ორჩარდს, ფთი ლტდ

1372A ბრუქსნერ ჰაივეი, 2480, ლინდენდეილ, ნიუ საუთ უელს (AU)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

რიდლი ბელ (AU)

ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

მოცვი / Vaccinium Hybrid

ჯიშის დასახელება: რიდლი 2503

ჯიშის მოკლე დახასიათება:

წარმოდგენილია მოცვის მცენარის ახალი ჯიში „რიდლი 2503“. „რიდლი 2503“ კომერციული ჯიშია, რომელიც განკუთვნილია როგორც ახალი ხილის გადასაზიდად, ხელით საკრეფად, მომხმარებლის მიერ მოსაკრეფად, მოსავლის მექანიკური მეთოდით ასაღებად და გადამამუშავებელი ბაზრებისთვის, ასევე როგორც ეზოს მცენარე. ჯიში წარმოებულია „რიდლი 4408“-ს (აშშ მცენარის პატენტი №29,470) და „რიდლი 1403“-ს (აშშ მცენარის პატენტი №25,432) შეჯვარებით, რომელიც შეიძლება გამოირჩეოდეს თავისი შესანიშნავი თვისებებით.

CATEGORY OF THE APPLICATION:	PLANT
NUMBER OF PUBLICATION OF THE APPLICATION:	P 2025 301 A
DATE OF THE FIRST PUBLICATION:	2025 06 12 №1
NUMBER OF THE APPLICATION:	P 2023 301
DATE OF FILING OF THE APPLICATION:	2023 06 15

APPLICANT:

MOUNTAIN BLUE ORCHARDS, PTY LTD
10372a Bruxner Highway, 2480, LINDENDALE, NEW SOUTH WALES (AU)

PERSON WHO BRED, OR DISCOVERED AND DEVELOPED THE VARIETY:

Ridley Bell (AU)

COMMON NAME AND LATIN NAME OF THE GENUS AND SPECIES:

Blueberry / Vaccinium Hybrid

VARIETY DENOMINATION: Ridley 2503

BRIEF DESCRIPTION OF THE VARIETY:

The new blueberry plant variety “Ridley 2503” is provided. “Ridley 2503” is a commercial variety intended for use as fresh fruit for shipping, hand pick, customer pick, machine harvest and processing markets and as a home garden plant. The variety is produced from a cross of “Ridley 4408” (US PP 29,470) and “Ridley 1403” (US PP25,432), which can be distinguished by its outstanding features.



ჯიშის აღწერილობა

I. ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

მოცვი / *Vaccinium Hybrid*

II. განმცხადებელი:

მაუნთინ ბლუ ორჩარდს, ფთი ლტდ

1372A ბრუქსნერ ჰაივეი, 2480, ლინდენდეილ, ნიუ საუთ უელს (AU)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

რიდლი ბელ (AU)

III. ჯიშის დასახელება: რიდლი 2503

IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამოყვანაზე და გამრავლებაზე:

